

სსიპ სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის
საჯარო სკოლა

სატენდერო დოკუმენტაცია

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სსიპ სიმონ სხირტლაძის სახელობის
ქალაქ ონის საჯარო სკოლის შენობის სახურავის სარეაბილიტაციო
სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა

(შესყიდვის კატეგორია CPV- 45400000)

ონი
2015წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის
2. დამატებითი ინფორმაცია
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
4. დანართი N1, რეკვიზიტები

შენიშვნა: შესასრულებელი სამუშაოების დეტალური აღწერილობა (დეფექტური აქტი) იხილეთ ატვირთულ ელექტრონულ მასალებში.

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ გამოიყენება:

3. ტექნიკური დოკუმენტაცია

3.1. სატენდერო წინადადების ფასი;

3.2. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.3. საავანსო ანგარიშსწორება გამოიყენება;

3.4. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

3.5. მონაწილე პრეტენდენტს 2013 წლის წლის 15 თებერვლიდან 2015 წლის 15 თებერვლამდე ჩათვლით მოცემულ ტენდერში წინადადებების მიღების დასრულების დღემდე, შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 500 000 ლარის ღირებულების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, აქედან ერთ-ერთი სამუშაო მინიმუმ 200 000 ლარის ღირებულების უნდა იყოს, აღნიშნულის დასტურად პრეტენდენტმა ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი.

4. ანგარიშსწორების პირობები:

4.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

4.2. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი საავანსო ანგარიშსწორება ასათვისებელი თანხის არაუმეტეს 30% ოდენობით, მას შემდეგ როდესაც სრული მოცულობით გაიქვითება ავანსის სახით მიცემული თანხა შესაძლებელია ანგარიშსწორება განხორციელდეს თვეში ერთხელ. საავანსო ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტია. გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

4.3. შესრულებულ სამუშაოზე საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში.

4.4. შუალედური ანგარიშსწორება მოხდება თვეში ერთხელ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფორმა N2 და ფორმა N3-ის საფუძველზე.

4.5. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს. შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობით.

4.6. ტენდერშიარ გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის 5% საბანკო გარანტია.

4.7. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის 9 ბრძანებით დამტკიცებული წესის 21-ე მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ პრეტენდენტს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10% ოდენობით, ან/და მასალებისა და მოწყობილობების საბაზრო ღირებულებისაგან მკვეთრი განსხვავებისას პრეტენდენტმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურება, რომელიც გაცემული უნდა იყოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.

აღნიშნულის თაობაზე მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა სათანადო მოთხოვნის ელექტრონულ სისტემაში განთავსებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, რომელიც გაცემული უნდა იყოს ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.

4.8. ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ვადას.

4.9. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება გადანაწილებული იქნება ტენდენციურად, რითაც აშკარად იკვეთება პრეტენდენტის სურვილი წინსწრებით მიიღოს შესრულებული სამუშაოების ღირებულების შეუსაბამო ოდენობა, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო.

4.10. სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების პროცესში მიმწოდებლის მიერ შენობაში რაიმეს დაზიანების შემთხვევაში რესტავრაციას გაუკეთებს საკუთარი ხარჯებით.

4.11. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 250 000 ლარს.

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ თითოეულ სამუშაოზე წარმოდგენილი (განფასებული) ხარჯთაღრიცხვის ფასი არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი სკოლისათვის 4.10 პუნქტით გათვალისწინებულ სავარაუდო ღირებულებას.

დეფექტურ აქტებში გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის შეცვლა დაუშვებელია.

გაითვალისწინეთ, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში დაუშვებელია დეფექტური აქტით განსაზღვრული სამუშაოების დასახელების, განზომილებისა და რაოდენობების ცვლილება.

ამასთან გაითვალისწინეთ, რომ კომუნალურ ხარჯებს (ელ. ენერჯია, წყალი) მიმწოდებელი გადაიხდის შემდეგი პროპორციით: ბოლო თვეში სკოლის მიერ გახარჯული თანხის ოდენობა გამოაკლდება სარეაბილიტაციო სამუშაოების პერიოდში გახარჯულ თანხას და მიღებულ სხვაობას გადაიხდის მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დასრულებამდე;

პრეტენდენტის მიერ, სატენდერო წინადადების წარმოდგენა ნიშნავს, რომ იგი ეთანხმება შემსყიდველის ყველა მოთხოვნებს რომელიც აღწერილია სატენდერო დოკუმენტაციაში;

ხარჯთაღრიცხვის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს, კერძოდ ზედნაღები ხარჯებისა და მოგების გაანგარიშების დროს, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55 დადგენილება;

სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება “მსგავსი” ან “ეკვივალენტური”.

5. დამატებითი ინფორმაცია:

➤ - დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ. ონი, სიმონ სხირტლადის სახელობის ონის საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობა, დირექტორი, დალი რაზმაძე ტელ.: 593 643688 სატენდერო კომისიის აპარატი, საკონტაქტო პირები: ციციხო ტოგონიძე – ტელ.: 591 010383

➤ სამშენებლო-საპროექტო საკითხების შესახებ - ვაჟა ზურდული, ტელ.: 577 468899;

6. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები, აღწერილობა და ჩამონათვალი, იხილეთ მიმაგრებული მასალა (დეფექტური აქტი):

7. მიწოდების პირობები და ვადები:

ა) სამუშაოები უნდა დასრულდეს 2015 წლის 20 ივნისიდან 1 სექტემბრამდე;

ბ) მიწოდების ადგილია შესაბამისი საჯარო სკოლა;

8. პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) რეკვიზიტები.

ბ) შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა დეფექტური აქტის მიხედვით.

გ) ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადების თაობაზე, რომელიც არ უნდა იყოს - სახურავზე მინიმუმ 15 წელი; კარ-ფანჯარაზე – მინიმუმ 10 წელი, ფასადისა და სარინელის მოწყობაზე – მინიმუმ 5 წელი, სამღებრო სამუშაოებზე – მინიმუმ 3 წელი და იატაკზე – მინიმუმ 15 წელი; სხვა სამუშაოებზე – მინიმუმ 3 წელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრა, შეკეთება ან შეცვლა.

დ) ინფორმაცია მონაწილე პრეტენდენტი პირის მიერ 2013 წლის წლის 15 თებერვლიდან 2015 წლის 15 თებერვლის ჩათვლით არანაკლებ 500 000 ლარის ღირებულების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების შესახებ და აქედან ერთ-ერთი სამუშაოს ღირებულების არანაკლებ 200 000 ლარის. აღნიშნულის დასტურად, თითოეულ შესრულებულ სამუშაოზე, პრეტენდენტმა ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები.

ხელშეკრულების პროექტი
(კონკრეტული პირობები დაზუსტდება სატენდერო წინადადების
შინაარსის გათვალისწინებით)
ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო _____ 2015 წელი

ერთის მხრივ სსიპ „-----“, მისამართი: -----ს/კ -----
-----; ლიბერთი ბანკი ----- (შემდგომში “შემსყიდველი”)
და მეორეს მხრივ _____ (შემდგომში “მიმწოდებელი”) შორის და მიღწეულ იქნა
ურთიერთშეთანხმება შემდეგზე: 2015 წლის _____ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების
ფარგლებში შემსყიდველმა გამოაცხადა №SPA_____ ერთეულებზე ტენდერი
_____საჯაროს სკოლის _____სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, (კლასიფიკატორის
(CPV) კოდები: _____ და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება სამუშაოს შესრულებაზე
შემდეგ თანხაზე: _____ ლარი (შემდგომში “ხელშეკრულების ფასი”).

1. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

- 1.1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
- 1.2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
 - ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
 - ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, სამუშაოების შესრულების მეთოდები, გრაფიკი და ხარჯთაღრიცხვა;
 - გ) სამუშაოების შესრულების ვადები;
 - დ) ნახაზები და სპეციფიკაციები;
- 1.3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- 1.4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
- 1.5. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.
- 1.6. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის ათვლა იწყება:

2. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში – „ხელშეკრულება”) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 2.2 „ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 2.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია,” (შემდგომში „შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 2.4 „მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

2.5 „დღე”, „კვირა”, „თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

3.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

3.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

3.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველი ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით ახდენს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაზე, სამუშაოს მიღება-ჩაბარებაზე შემსყიდველის უფლებამოსილი პირები არიან ინსპექტირების ჯგუფის წევრები: _____

4.2. მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

4.3. მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.5. შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების დაწესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.

4.6. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში და საერთაშორისო მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები.

5. სამუშაოს შესრულების პირობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაოები, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

5.2. მხარეები პერიოდულად განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.

5.3. თუ მიმწოდებელი გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში დაუსაბუთებლად, (შემსყიდველის გაფრთხილების მიუხედავად) ვერ ასრულებს სამუშაოებს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, რა შემთხვევაშიც მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით;

5.5. ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯები არ ანაზღაურდება.

6. თანმდევი მომსახურება

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა დანადგარებისაგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან.

6.2. სამუშაოების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენა;

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2. შესყიდვის ობიექტის მიღება და შემოწმება ხდება გაწეული სამუშაოების შესრულების ადგილზე.

7.3. საბოლოო სამუშაოების შესრულებამდე „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია შემსყიდველს ეტაპობრივად წარუდგინოს სამუშაოს შესრულების აქტი (ფორმა №2 და ფორმა №3) და შესაბამისი ანგარიშფაქტურა, რომლის საფუძველზეც განხორციელდებ ანაზღაურება.

7.4. შემსყიდველის მხრიდან სამუშაოს შესრულების აქტზე (ფორმა №2 და ფორმა №3) ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს – ტექნიკურ ზედამხედველს;

7.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

7.6. შესყიდვის ობიექტის (მისინაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8. გარანტია

8.1. ექსპლოატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს ხარისხზე მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომელიც მოცემულია ხელშეკრულების შესაბამის დანართში.

8.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. გარანტია არ ვრცელდება მექანიკურ დაზიანებებზე.

9. ანგარიშსწორება

9.1. მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ჯამური (დამატებითი ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება.

9.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარიშ-ფაქტურა.

9.3. შემსყიდველი საბოლოო ანგარიშსწორებას განახორციელებს მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის გაფორმების (მიღება-ჩაბარების აქტი ფორმა №2 დაფორმა №3) დადამატებითი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

9.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის დასკვნის გაცემამდე შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობით.

9.5. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ეტაპობრივად, ფორმა #2, ფორმა #3 და დამატებითი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში;

9.6. შუალედური ანგარიშსწორება მოხდება თვეში ერთხელ.

9.7. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს;

9.8 მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი საავანსო ანგარიშსწორება ასათვისებელი თანხის არაუმეტეს 30% ოდენობით, მას შემდეგ როდესაც სრული მოცულობით გაიქვითება ავანსის სახით მიცემული თანხა შესაძლებელი იქნება ანგარიშსწორება შუალედური განხორციელდეს თვეში – ერთხელ. საავანსო ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტია. გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

9.9. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა გამარჯვებულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელი კარგავს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

10. ფასები

10.1. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შემცირება დასაშვებია თუ: მომსახურების გაწევის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაო არ არის შესრულებული სრული მოცულობით.

10.2. ფასის გაზრდა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემულ უპირობო გამოუთხოვად საბანკო გარანტიას.

11.2. გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების —%-ის ოდენობით.

11.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო.

11.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

11.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში.

11.6. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

11.7. გარანტია უნდა იყოს უპირობო, ე.ი. გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე.

11.8. გარანტიით გათვალისწინებული თანხის ამოწურვის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ახალი გარანტია. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

12.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობების ამ მუხლში.

12.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით ან

ბ) განუსაზღვროს სამუშაოს დასრულებისათვის დამატებითი ვადა არაუმეტეს **15 (თხუთმეტი)** დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების **0.2%-**ის ოდენობით.

12.4. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილი ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების ღირებულების **10%-**ს ოდენობით.

12.5. თუ კი მიმწოდებელი 12.3. „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს სამუშაოს სრულად დამთავრებას, შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის **10%-**ის ოდენობით.

12.6 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.7 ამ მუხლის 12.6 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

12.8. თუ კი შემსყიდველი ხელშეკრულების 9.5 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, ამავე მუხლით მითითებულ ვადაში, ვერ უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას, მიმწოდებელი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გემა-გრაფიკის გადახედვის თაობაზე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

14. გამოყენებული სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

16. ხელშეკრულების შესრულების და მოქმედების ვადა

16.1. სამუშაოების შესრულების ვადაა 2015 წლის 20 ივნისიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე;

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2015 წლის 1 ოქტომბრამდე.

მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

_____ (ხელმოწერა)

ბ.ად.

მიმწოდებელი:

_____ (ხელმოწერა)

ბ.ად.

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

საიდენტიფიკაციო კოდი:

ობიექტის დასახელება: სიმონ სხირტლაძის სახელობის ონის საჯარო სკოლა											
შენობის მოწყობის სამუშაოები				სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ——— ლარი							
საფუძველი: დეფექტური აქტი				მ.შ. ხელფასი ——— ლარი							
№	სამუშაოს ჩამონათვალი	განზ.	სულ	მასალა		ხელფასი		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი	შენიშვნა
				ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ		
1. დემონტაჟის სამუშაოები											
3	აზბესტცემენტის სახურავის მოხსნა	კვ.მ.	2,500.00								
4	ხის კონსტრუქციების დემონტაჟი	კუბ.მ.	75.00								
26	კარის ბლოკის დემონტაჟი	კვ.მ.	22.70								
38	შენობის გასუფთავება სამშენებლო ნაგვისაგან	ტონა	78.59								
39	ნაგვის დატვირთვა ავტოთვიომცლელზე	ტონა	78.59								
40	სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება	ტონა	78.59								
	ჯამი										
	ზედნადები ხარჯები	%									
	ჯამი										
	მოგება	%									
	ჯამი 1										
2. სამშენებლო სამუშაოები											
	კედლები	ც	2,0								

5	კარ-ფანჯრების შიდა ფერდობის ცემენტის ხსნარით ლესვა	კვ.მ.	13.0							
13	ფითხით დამუშავება და წყალუმულსიური საღებავით ორჯერ შეღებვა	კვ.მ.	14.87							
16	კარ-ფანჯრების გარე ფერდობის შეღესვა ცემენტის ხსნარით	გრძ.მ.	35.00							
	კარ-ფანჯრები									
10	Iზოალუმინის სამკამერიანი კარის მოწყობა	კვ.მ.	22.70							
	სახურავი									
2	ხის ანტისეპტირებული ნივნივების მოწყობა	კუბ.მ.	75.00							
3	ხის ნივნივების ცეცხლდაცვა	კუბ.მ.	75.00							
4	ხის ჩამოგანული ფიცრებით მლარტყვა, სისქით 40მმ.	კვ.მ.	2,500.00							
5	ხის მოლარტყვის ცეცხლდაცვა	კვ.მ.	2,500.00							
6	ხის მოლარტყვის ანტისეპტირება	კვ.მ.	2,500.00							
9	მთუთიებული პროფილირებული თუნიქით, სისქით 0,55მმ, ("პროფნასტილი") სახურის დახურვა	კვ.მ.	2,500.00							
11	კეხის მოწყობა მთუთიებული თუნუქით, სისქით 0,55მმ.	კვ.მ.	300.00							
12	შამერცხელურის მოწყობა	ცალი	6.00							
	სარინელი									
1	გრუნტის დამუშავება ხელით	კუბ.მ.	60.00							
2	ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტომანქანაზე	კუბ.მ.	60.00							
3	ზედმეტი გრუნტის ტრანსპორტირება	კუბ.მ.	60.00							
4	ღორღის საფუძველის მოწყობა	კუბ.მ.	40.00							
6	ბეტონის საფარის მოწყობა მ200 ბეტონით	კუბ.მ.	32.00							
7	ბაზალტის ბორდიურის მოწყობა (15X30სმ.)	გრძ.მ.	400.00							
	ჯამი									
	ზედნადები ხარჯები	%								
	ჯამი									
	მოგება	%								

	ჯამი 2										
	1+2+3+4+5+6+7+8+9+10+12 თავების ჯამი										
	მასალების ტრანპორტი	%									
	ჯამი										
	გათვალისწინებელი ხარჯები	%	5.00								
	ჯამი										
	ღღუ	%	18.00								
	ჯამი										
<p>შენიშვნა: საქართველოს მთავრობის 2012წ. 8მაისის №171 დადგენილების თანახმად, სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იქნას ლეგან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფი</p>											
	უსიპ ლეგან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო. შესრულებული ან შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება/პუნქტი 137/	%									
	სულ										

შემსრულებელი
ხ. მ.

ბ. ად.

**მონაცემები პრეტენდენტის მიერ განხორციელებული
ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ**

პრეტენდენტის დასახელება -----

№	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი
1.				
2.				
3.				
..				